საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იოანე VI

იოანე VI, კანტაკუზენი (Iōաննēս Կանտակուզēնոս) (დაახლ. 1293, კონსტანტინოპოლი, – 15.VI. 1383, მისტრა), ბიზანტიის პოლიტიკური მოღვაწე და მწერალი, იმპერატორი 1341–53.

აუჯანყდა იოანე V პალეოლოგოსს და თავი იმპერატორად გამოაცხადა. ატარებდა ფეოდ. არისტოკრატიის სასარგებლო პოლიტიკას, რამაც საერთო უკმაყოფილება გამოიწვია. ამის გამო იძულებული გახდა უარი ეთქვა ტახტზე და ბერად აღკვეცილიყო.

ი. VI-მ მონასტერში დაწერა „ისტორია", რ-იც 1320–56 მოვლენებს ეხება და გვიანდ. ბიზანტ. ხანის ისტორიის მდიდარ ფაქტობრივ მასალას მოიცავს. ცნობილია მისი ხრისობული (სიგელი) ივერთა მონასტრის მამულების შესახებ: «ჩემს მეუფებას სურს ყოველნაირად დაუბრკოლებლივ იქნეს დაცული შეწუხებული პატივდებული მონასტრის წილი, ყველაფერში, რაც შეუძენია, და არასოდეს იქნეს შეწუხებული ვინმესგან... ეს პატივდებული მონასტერი ... დაჯილდოვებულია ფულად სახსრით, ესე იგი ივერთა მონასტერი, რისთვისაც მიენიჭა წინამდებარე ხრისობული ჩემი მეუფებისა, გაცემული ივლისის თვის თოთხმეტს, 1351 წლისა, რასაც ხელს აწერს... იოანე, ქრისტე-ღმერთის მიმართ მორწმუნე მეფე და თვითმპყრობელი რომაელთა კანტაკუზენი».

წყარო: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 8, თბ., 1970.

ნ. ლომოური